საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №07-01/32

ქ. ბათუმი 15 ივნისი, 2022 წელი

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 17 ივლისის N04 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14, მე-18 მუხლის, 27-ე, 28-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-10, მე-19, მე-20, 22-ე მუხლების, **„საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის** ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 14 ივნისის სხდომის ოქმის N27-05/08, წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის და სხდომის ოქმის (N07-02/02, 15.06.2022 წ) საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის **„საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დებულების** დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 17 ივლისის N04 გადაწყვეტილებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები, კერძოდ, გადაწყვეტილების N1 დანართში (ფაკულტეტის დებულების):

ა) მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ბ) ფაკულტეტის დეკანის უფლებამოსილების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეწყვეტის შემთხვევაში, ფაკულტეტის დეკანის არჩევნების შედეგების დამტკიცებამდე ნიშნავს (სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ღია კენჭისყრით) დეკანის მოვალეობის შემსრულებელს, ამავე საბჭოს შემადგენლობიდან (პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი), არაუმეტეს 6 თვის ვადით. აღნიშნული ვადა ფაკულტეტის საბჭოს

გადაწყვეტილებით ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების შეფერხების თავიდან აცილების მიზნით (პროგრამების აკრედიტაციის პროცესის საჭიროებიდან გამომდინარე ან სხვა) შესაძლებელია, გახანგრძლივდეს დამატებით 6 თვემდე ვადით (ამ გზით დანიშნული დეკანის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების ვადა არ უნდა აღემატებოდეს ჯამში 12 თვეს);";

ბ) მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4. დარგობრივ დეპარტამენტს შეიძლება უხელმძღვანელოს დეკანის წარდგინებითა და რექტორის ბრძანებით, ამ დეპარტამენტის წევრთაგან დანიშნულმა პროფესორმა ან ასოცირებულმა პროფესორმა (გამონაკლისი დაიშვება დეკანის წარდგინებით გამოცემული ბსუ-ს რექტორის ბრძანებით). ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე მტკიცდება დარგობრივი დეპარტამენტების (მათ შორის დეპარტამენტების ხელმძღვანელების) განახლებული შემადგენლობა.";

გ) მე-12 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,8. დარგობრივი დეპარტამენტის სპეციალისტს დეკანის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე დარგობრივი დეპარტამენტის სპეციალისტის დანიშვნის ბრძანებით განისაზღვრება ფაკულტეტის ერთი ან ორი დარგობრივი დეპარტამენტი, რომელშიც იმუშავებს ეს სპეციალისტი.".

2. წინამდებარე გადაწყვეტილებით შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით ფაკულტეტის კოდიფიცირებული დებულება მომზადდეს ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის მიერ და განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. წინამდებარე გადაწყვეტილების და ფაკულტეტის კოდიფიცირებული დებულების ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
4. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, შესაბამის პერსონალს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
5. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დ. ბარათაშვილი**